საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეს,

ქალბატონ ნინო თანდილაშვილს,

შპს „ბლექსი ვეისტ მენეჯმენტის“ დირექტორის, იური შონიას

მის: ქ. ფოთი. თ. დავითაიას ქუჩა # 102

განცხადება

ქალბატონო ნინო,

მოგახსენებთ, რომ სამინისტროს 2017 წლის №69 ეკოლოგიური დასკვნისა და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 10 ივნისს №2-508 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების საფუძველზე ხობის მუნიციპალიტეტში, სოფელ ხორგაში ფუნქციონირებს შპს „ბლექსი ვეისტ მენეჯმენტის“ (ს/ნ 415089291) ნარჩენების აღდგენის, ნარჩენების განთავსების (ინსინერაციის) და 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენების დროებითი დასაწყობების ობიექტი.

კომპანიის მიერ გარემოსდაცვითი მაღალი სტანდარტების დანერგვის მიზნით მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ ინსინერატორის ტექნოლოგიურ ციკლში გამოყენებული წყლების დამატებითი გაწმენდის მიზნით მოეწყოს სალექარი და წლის გამწმენდი აუზი.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-5 მუხლის 12-ე ნაწილის „გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით შეცვლა ან/და ექსპლუატაციის პირობების შეცვლა, მათ შორის, წარმადობის გაზრდა, ამ კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად მიიჩნევა“ და ამავე კანონის შე-7 მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ განცხადებას სკრინინგის პროცედურის გასავლელად.

მოგმართავთ თხოვნით, რომ კანონით დადგენილ ვადებში განიხილოთ სკრინინგის ანგარიში და გვაცნობოთ თქვენი გადაწყვეტილება.

დანართი:

სკრინინგის ანგარიში. ნაბეჭდი ვერსია 6 გვ.

პატივისცემით,

იური შონია

დირექტორი

05.04.2021

№ 6038
05 04 2021
1/6